



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუხეთი

კუხეთი, ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. ტერიტორიულად მოიცავდა მდების – არაგვისა და მტკვრის მარცხ. სანაპიროს ჟინვალიდან გარეჭის უდაბნომდე. ცენტრი – ქ. რუსთავი. ცნობილია აგრეთვე სხვა ცენტრებიც – კაწარეთი და ბოდბე. გადმოცემით, მეფე ფარნავაზ I-ის (ძვ. წ. III ს.) დროს კ. კახეთთან ერთად ერთ საერისთავოს წარმოადგენდა. შემდგომშიც იგი ადმინისტრაციულად კახეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა გარკვეულ პერიოდებში ცალკე საგამგებლოც ყოფილა. VIII ს. 80-იან წლებში კ., როგორც საერისთავო, ახალწარმოქმნილ კახეთის სამთავროში შევიდა. არის მონაცემები, რომ X- XI ს-ში კ-ის ნაწილი ქ. რუსთავიანად თბილ. საამიროში შედიოდა. კ. წყაროებში უკანასკნელად მოიხსენიება XII ს-ში, ამჟერად – როგორც გეოგრ. ცნება. XV ს. ბოლოს კი ყოფილი კ-ის ტერიტორია უკვე კახეთად იწოდება. გადმოცემის თანახმად, ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ კაწარეთში ქრისტიანობაზე მოაქცია კუხელები. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წმ. ნინო ბოდბის მონასტერშია დაკრძალული, სადაც მისი საფლავი დღემდეა შემონახული.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს., „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1967, [ტ] 3; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1IV, თბ., 2021; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხ8. თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983.

ღ. მუსხელიშვილი